# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

## ბრძანება №886
## 2023 წლის 10 იანვარი

## ქ. თბილისი

**იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2023 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის**

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის $2^2$ პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა (დანართი №1), სადაც 2023 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება 2023 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად ნოტარიუსთა თანამდებობაზე დასანიშნად.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს იუსტიციის მინისტრი** **რატი ბრეგაძე**

*დანართი №1*

**იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2023 წელს**

**სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის**

| № | დასახლება | 2023 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | ქალაქი ქარელი | 1 | |
| 2 | დაბა ბაკურიანი | 1 | მაღალმთიანი დასახლება |
| 3 | ქალაქი ახალქალაქი | 1 | მაღალმთიანი დასახლება |
| 4 | ქალაქი ბათუმი[1] | 2 | |

[1] **შენიშვნა:** ქალაქ ბათუმში 2023 წელს დასანიშნი ნოტარიუსების რაოდენობიდან ერთი ერთეული განკუთვნილია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 აგვისტოს №29 დადგენილებით გათვალისწინებული ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციული ერთეულისათვის.